

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც სკოლის ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებული, ასევე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

ამ მხრივ, სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2016-2017 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

*ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებებს:*

- 1, გახანგრძლივებული I-V კლასებში გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე - *ფასიანი წრის სახით.*
- 2, უნარები - II-V კლასებში - კვირაში 1საათი - სავალდებულო საგნის სახით
- 3, ცეკვა - I-V კლასებში - სავალდებულო საგნის სახით
- 4, ინგლისური ენის საფუძვლები - I კლასებში - სავალდებულო საგნის სახით
- 5, ქიმია - VII კლასებში - კვირაში 1საათი - სავალდებულო საგნის სახით
- 6, ფიზიკა - VII კლასებში - კვირაში 1საათი - სავალდებულო საგნის სახით
- 7, ფიზიკა - XI კლასებში - კვირაში 1საათი - სავალდებულო საგნის სახით

